სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/125

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრისა და აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წელი დაიწყოს 2023 წლის 25 სექტემბერს.
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. პირველკურსელთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია:

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა – 2023 წლის 4-15 სექტემბერი;
2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 2023 წლის 4-15 სექტემბერი.

2. პირველი (შემოდგომის) სემესტრი:

1. სასწავლო მეცადინეობები:
   – ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის, ბაკალავრიატის სწავლების პირველი-მეოთხე წლის, მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის, დოქტორანტურის სწავლების მეორე და მესამე წლის სტუდენტებისათვის, აგრეთვე დამატებითი სემესტრების ყველა სტუდენტისათვის – 2023 წლის 25 სექტემბრიდან 2024 წლის 20 იანვრის ჩათვლით;
   – მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის – 2023 წლის 2 ოქტომბერიდან 2024 წლის 20 იანვრის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2023 წლის 20 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით.
3. დასკვნითი გამოცდები – 2024 წლის 29 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით.
4. დამატებითი გამოცდები – 2024 წლის 12 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით.
5. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2024 წლის 29 იანვრიდან 17 თებერვლის ჩათვლით.
6. არდადეგები – 2023 წლის 31 დეკემბერი - 2024 წლის 7 იანვარი, 2024 წლის 18-24 თებერვალი.

3. მეორე (გაზაფხულის) სემესტრი

1. სასწავლო მეცადინეობები – 2024 წლის 26 თებერვლიდან 15 ივნისის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2024 წლის 22 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით.
3. დასკვნითი გამოცდები – 2024 წლის 24 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით.
4. დამატებითი გამოცდები – 2024 წლის 8 ივლისიდან 13 ივლისის ჩათვლით.
5. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2024 წლის 24 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით;
6. არდადეგები – 2024 წლის 14 ივლისიდან.